



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 32
06/08/2021

32-04-4-202108061201



**ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე
იმ შენობა-ნაგებობების გამოყოფის შესახებ,
სადაც შესაძლებელია საარჩევნო ღონისძიებების ჩატარება**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-9 ნაწილისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს – მერის არჩევნებისათვის ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განისაზღვროს ის შენობა-ნაგებობები, სადაც შესაძლებელია საარჩევნო სუბიექტის მიერ წინასაარჩევნო ღონისძიებების ჩატარება, თანახმად დანართი №1-სა.

2. წინამდებარე განკარგულება გადაეგზავნოს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, №80 ქედის საოლქო საარჩევნო კომისიასა და ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

3. წინამდებარე განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე (www.keda.gov.ge) გამოქვეყნება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალამდემ.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ შენობა-ნაგებობების გამოყოფის შესახებ, სადაც შესაძლებელია საარჩევნო ღონისძიებების ჩატარება“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 04 სექტემბრის №36 განკარგულება.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



